კულტურული ცვლილებები გლობალიზაციის ეპოქაში და მისი მნიშვნელობა კულტურათაშორის კომუნიკაციაში

რუსუდან მიქაუტაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
rusudan.mikautadze@atsu.edu.ge

DOI: https://doi.org/10.52340/lac.2022.954

თანამედროვე გლობალურმა ფინანსურმა და სასაქონლო ბაზრებმა, მედიამ და მიგრაციულმა ნაკადებმა გამოიწვია კულტურის სწრაფი ცვლილება, რაც გამოიხატება სხვადასხვა ქვეყნებსა და კულტურებს შორის პირდაპირი კონტაქტების სწრაფი ზრდით, კულტურული ფასეულობების სესხებით და ხალხის ერთი კულტურიდან მეორეში მიგრაციით.

კულტურის გლობალიზაციის ამ პროცესში დევს გარკვეული კონფლიქტური პოტენციალი, თუმცა გლობალური პროცესები არ იწვევენ ერთიანი მსოფლიო კულტურის ჩამოყალიბებას. გლობალიზაცია გულისხმობს ერთი კულტურის ჩვეულებებისა და მეორეს ტრადიციების ნებაყოფლობით დაუფლებას, მათ საკუთარ ნიადაგზე გადმოტანას და ამ გზით საკუთარი კულტურის გამდიდრებას.

საკვანძო სიტყვები: კულტურის დინამიკა, კულტურული პლურალიზმი, კულტურული დიფუზია, კულტურული სესხება

კულტურა არასოდეს ყოფილა უმოძრაო. იგი იქმნებოდა, ვითარდებოდა და ვრცელდებოდა რეგიონიდან რეგიონზე, თაობიდან თაობაზე, გზად კი ივსებოდა სხვადასხვა მატერიალური და სულიერი მიღწევებით. ეს პროცესი კულტურულ ანთროპოლოგიაში ცნობილი არის „კულტურის დინამიკის“ სახელწოდებით, რაც გულისხმობს ყველა იმ ცვლილებას, რომელიც ხდება კულტურასა და ადამიანში შიგა და გარე მიზეზების გავლენით.

კულტურული ცვლილებების პროცესში იბადება, ფიქსირდება და ვრცელდება კულტურული გამოცდილების სხვადასხვა ელემენტი, რომელთა მნიშვნელობის, გავლენის და განაწილების ხარისხი დიდწილად დამოკიდებულია მათი წარმოშობის წყაროზე. აღნიშნული წყაროებიდან შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

ინოვაცია, კულტურული მემკვიდრეობის გადაცემა, სესხება და კულტურული დიფუზია.

ინოვაცია გულისხმობს ისეთი ახალი სიმბოლოების, ქცევის ნორმების, წესების შემოტანას, რომლებიც მიმართულია ადამიანის ცხოვრების პირობების შეცვლისაკენ, ახალი ტიპის აზროვნების ჩამოყალიბებისა და სამყაროს ახლებურად აღქმისაკენ. ინოცავიის მიზეზია კულტურული და სოციალური თვითდამკვიდრების გზების ძიება გაბატონებული ფასეულობების უარყოფის ხარჯზე. თუმცა ნებისმიერი სიახლე მეტნაკლებად განწირულია უარყოფისათვის თუ აღმოჩნდება, რომ იგი შეუთავსებელია კულტურის ტრადიციულ ფესვებთან, თუ მასზე მოთხოვნა არ არის, თუ ისინი ვერ აკმაყოფილებენ შესაბამისი საზოგადოების სოციოკულტურულ საჭიროებებს და ინტერესებს.

კულტურულ ცვლილებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურულ მემკვიდრეობას, როგორც ცვლილების ერთერთ წყაროს. წარსულის ძეგლებში არსებული ღირებულებები და სიმბოლოები, ჩვეულებები, ნორმები და ფასეულობები ახალი კულტურის დამკვიდრების მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინებიან, რომელიც არა მარტო უნდა იქნას შენარჩუნებული, არამედ უნდა მოხდეს ამ კულტურული გამოცდილების ახსნა ახალი თაობებისათვის, მათი ადაპტირება და ინტერპრეტაცია აწმყოსთან მიმართებაში.

გლობალიზაციის ეპოქაში კულტურულ ცვლილებებზე დიდი გავლენას ახდენს კულტურული სესხება ანუ ახვა კულტურებში შექმნილი ქცევის ნორმების, საგნების, ფასეულობების გამოყენება, თუმცა ამათუიმ საზოგადოების უმეტესობა მიუხედავად ამისა, ინარჩუნებს მისი კულტურისათვის დამახასიათებელ ბევრ ადათ-წესს, ნორმასა და ღირებულებას.

კულტურული სესხებას შეიძლება ჰქონდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გავლენა რეციპიენტ კულტურაზე. ამასთან, სესხების პროცესში მიმღები ერი არ სესხულობს ყველაფერს, არამედ მხოლოდ იმას, რაც ახლოსაა მის კულტურასთან, რამაც შეიძლება ამ ერს მოუტანოს რაიმე სარგებელი, ანუ ხდება კულტურათა სინთეზი. იგი განსაკუთრებით კარგად სჩანს სამხრეთ კორეაში, ტაივანში, სინგაპურში და ა.შ. სადაც ნაყოფიერადაა შერწყმული როგორც საკუთარი, ეროვნული, ისე ნასესხებ კულტურათა ელემენტები. თუმცა გლობალიზაციის პროცესი საფრთხის ქვეშ აყენებს მცირე ერებსა და მათ კულტურებს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, შეიძლება მათი გაქრობაც კი გამოიწვიოს. მიგვაჩნია, რომ ეს საფრთხე არაფრით არ განსხვავდება იმისგან, თუ რისი მოტანა შეუძლია ამათუიმ ხალხისა თუ ქვეყნისათვის ჩაკეტილობას და იზოლაციას. პირველი არგუმენტის

დასაცავად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს მაგალითი, რომ საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და მის კულტურას შთანთქმა ელის თუკი კულტურაში შემოიჭრება დიდი რაოდენობით უცხო ელემენტი. თუმცა *„იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ განა დღევანდელი ქართული კულტურა ისეთივეა როგორიც ის იყო საუკუნეების წინათ? იგი ხომ უანრავი ქვეყნის ,კულტურის ზეგავლენას განიცდიდა დაწყებული ელინისტური, რომაული და აღმოსავლურიდან, დამთავრებული ევროპულით და რუსულით, მაგრამ მან შეძლო შეენარჩუნებინა ეროვნული სული, ეროვნულ ნიადაგზე გადაემუშავებინა სხვადასხვა კულტურათა მიღწევები და ისე მიეტანა ქართველი ერისათვის“* .(კ.ზ.გამსახურდია.2005: 40-41). სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი საქართველოსა და სხვა მცირე ერებისათვის გლობალიზაციის პროცესების შედეგების წინასწარი გათვლა და მისთვის სწორი მიმართულების მიცემა.

კულტურის არსებობის და განვითარების ერთერთი ყველაზე ბუნებრივი ფორმაა კულტურათა დიფუზია, რომელშიც მიგრაცია, ტურიზმი, ვაჭრობა, სამისიონერო საქმიანობა, საერთაშორისო შეხვედრები, ომები და ა.შ. თამაშობენ დიდ როლს. ამ დროს ხდება ცალკეული კულტურული მახასიათებლების ან მთლიანი კულტურული კომპლექსების შეჭრა ერთი კულტურიდან მეორეში. ჩვეულებრივ, კულტურული დიფუზია წარმოიშობა ერთ ადგილზე, შემდეგ კი სწრაფად ვრცელდება მთელს ქვეყანაში და ხშირად გადადის მეზობელ ქვეყნებზეც. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რენესანსი ევროპაში.

გლობალიზაციის ეპოქაში კულტურული დიფუზია უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, რადგან მას აქვს დადებითი სოციალური შედეგები ნებისმიერი საზოგადოებისათვის. კულტურული ღირებულებების გადაცემა ერთი ხალხიდან მეორეზე, ისევე როგორც ერთი სოციოკულტურული ფენიდან მეორეზე, იწვევს საზოგადოების დემოკრატიზაციას და მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებას, ამასთანავე თვითონ კულტურაც ხდება უფრო დემოკრატიული. აღნიშნული საკითხის ამგვარ ჭრილში განხილვის დროს შეიძლება კამათი იმის შესახებ, თუ რამდენად მისაღებია რიგი „ნორმად ქცეული თანამედროვე კულტურული წესი“? მიგვაჩნია, რომ გარდამავალ ეპოქაში, რომელშიც ჩვენი, ქართული საზოგადოება იმყოფება, ზედაპირზე ტივტივებს შედარებით მდარე კულტურული ნიმუშები, რომელთა დაწმენდისათვის გარკვეული დრო არის აუცილებელი. გონიერი, განათლებული საზოგადოება ისტორიის სანაგვეზე მოისვრის იმ ფსევდოკულტურულ ღირებულებებს, რომელიც დროს ნამდვილად ვერ გაუძლებს და ამის არაერთი მაგალითი ჩვენს თვალწინ ხდება. ანუ, კულტურულ დიფუზიას,

კულტურული სესხების პროცესებს თან ახლავს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ერთის მხრივ, ის საშუალებას აძლევს ხალხს უფრო მეტი კომუნიკაცია ჰქონდეთ ერთმანეთთან, გაიცნონ და დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მეორეს მხრივ, ზედმეტად აქტიურმა კომუნიკაციამ და სესხებამ შეიძლება გამოიწვიოს კულტურული თვითმყოფადობის შესუსტება და უკიდურეს შემთხვევაში, დაკარგვაც კი.

დღეისათვის გლობალიზაციის პროცესმა მოიცვა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფერო. გლობალურმა ფინანსურმა და სასაქონლო ბაზრებმა, მედიის განვითარებამ და მიგრაციულმა ნაკადებმა გამოიწვია კულტურული გაცვლის სწრაფი ზრდა, რაც გამოიხატება სხვადასხვა ინსტიტუციებს, სოციალურ ჯგუფებს, ქვეყნებსა და კულტურებს შორის პირდაპირი კონტაქტებით. ასეთი კონტაქტების გაფართოების შედეგად ცხოვრების სტილის და აზროვნების მრავალი ტრადიციული ფორმა გადადის უკანა პლანზე ან საერთოდ ქრება, თუმცა მათი ჩანაცვლება ხდება ახალი ფორმებით. იშლება საზღვრები „ჩემსა“ და „სხვის“ კულტურას შორის და კულტურების ეს ახალი ნაზავი ხდება არა ცალკეული ინდივიდის, არამედ მთელი საზოგადოების დამახასიათებელი თვისება. მაგ. ახალგაზრდული კულტურა, სმარტფონები, ჯინსები, სერიალები, ტრანსკონტინენტური პოლიტიკური პრობლემები, გლობალური დათბობა, თუნდაც კოვიდ-19 პანდემია, ერთდროულად როგორც გლობალურად, ისე ლოკალურად არიან წარმოდგენილნი.

თანამედროვე ტექნოლოგიურმა პროგრესმა და გლობალურმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა ცვლილებებმა მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხებს შორის არსებული წინააღმდეგობებისა და ფუნდამენტური სხვაობებისა შესაძლებელი გახადა ურთიერთგაგება, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს გლობალური კულტურის დამკვიდრებამდე. თუმცა ამ განვითარებული სისტემის შიგნით არსებობს როგორც განსხვავებები, ისე მსგავსებები, ხდება მსოფლიოს მრავალფეროვნების აღიარება და შესაბამისად მნიშვნელობას იძენს მისი შემადგენელი ელემენტების კულტურული თავისებურებების განსაზღვრა, რათა შევძლოთ ერთმანეთის გაგება. (R. Scupin , 1994: 41)

გლობალიზაცია დიალექტიკური პროცესია, მისთვის დამახასიათებელია ურთიერთგანმაპირობებელი ტენდენციები, როგორიცაა ინტეგრაცია და დიფერენციაცია, კონფლიქტი და თანამშრომლობა, უნივერსალიზაცია და პარტიკულარიზმი. იგი არ არის ავტომატური პროცესი, რომელიც შეიძლება დასრულდეს იდეალური, უკონფლიქტო მშვიდობით. იგი თავის თავში შესაძლებლობებთან ერთად მოიცავს დიდი რისკებს, რომელთა შედეგები შეიძლება

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყოს. მაგ. სხვადასხვა საზოგადოება სხვადასხვაგვარად რეაგირებს მისთვის უცხო ცვლილებებზე - სხვა კულტურების ღირებულებების პასიური უარყოფიდან დაწყებული, მათი გავრცელების და მიღების აქტიური წინააღმდეგობით დამთავრებული. შედეგად, ჩვენ მოწმე ვართ ეთნო-რელიგიური კონფლიქტებისა, ნაციონალისტური განწყობების ზრდისა და რეგიონალური ფუნდამენტალისტური მოძრაობების ჩამოყალიბებისა. ეს დიდწილად ეხება კავკასიის რეგიონს და კერძოდ, საქართველოსაც.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გლობალიზაციისა და კულტურული დინამიკის პროცესები არ იწვევს ერთიანი მსოფლიო კულტურის ჩამოყალიბებას. თანამედროვე კულტურა არის თვითმყოფადი კულტურების სიმრავლე, რომელთა შორის მიმდინარეობს დიალოგი და ურთიერთობა. კულტურული ცვლილებები იწვევს უნივერსალიზაციას და არა ერთგვაროვნებას. იგივეს მიუთითებს თ. ერიქსენი როცა შენიშნავს, რომ *"კულტურათა შერევის პროცესები იმას არ გულისხმობს, რომ ყველაფერი ერთნაირი ხდება, არც იმას, რომ ყველა სახის კულტურული დინება ურთიერთშერევას ექვემდებარება. ცოდნისა და პრაქტიკის ბევრი ფორმა ლოკალურია, ბევრი კი უფრო მეტად ექცევა ზემოქმედებაში სხვების მხრიდან, ვიდრე ზემოქმედებს სხვებზე"* (თ. ჰ. ერიქსენი, 2018: 368). კულტურის გლობალიზაცია გლობალურსა და ლოკალურს შორის ზღვარზე ახალ კულტურულ სხვაობათა ნაირსახეობების ზრდას იწვევს. თუმცა ეს პროცესები გვაიძულებენ კრიტიკულად შევხედოთ ჩვენს საკუთარ კულტურას და მის მიერ ჩამოყალიბებული ადამიანის ტიპს.

თანამედროვე სამყაროში ადამიანების თანაარსებობა შეუძლებელია კულტურებს შორის ჰარმონიის მიღწევის გარეშე, რაც შესაძლებელია მათ შორის მხოლოდ დიალოგის გზით. ამ დიალოგში არცერთი კულტურა არ არის განსაკუთრებული. კულტურებს შორის ურთიერთობა უნდა დაეფუძნოს კონსენსუსის და პლურალიზმის პრინციპებს.

ამრიგად, კულტურული ცვლილებები გლობალიზაციის ეპოქაში მიმდინარეობს კულტურებს შორის თანამშრომლობის გზით, რომელიც ეფუძნება კულტურულ პლურალიზმს. ადამიანი ეუფლება სხვადასხვა კულტურულ მიღწევებს, საკუთარი კულტურის ფასეულობებისადმი ზიანის მიყენების გარეშე. კულტურული პლურალიზმის პირობებში არცერთი კულტურა არ კარგავს თვითმყოფადობას და არ იკარგება საერთო კულტურაში. ეს გულისხმობს ერთი კულტურის ჩვეულებების და მეორეს ტრადიციების ნებაყოფლობით დაუფლებას,

მათ საკუთარ ნიადაგზე გადმოტანას და ამ გზით საკუთარი კულტურის გამდიდრებას.

ლიტერატურა:

1. კ. ზ. გამსახურდია. (2005) ხუთი ლექცია. თბ., გვ. 40-41
2. თ.. ერიქსენი. (2018). მცირე ადგილები, ვრცელი საკითხები. შესავალი სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში, მე-4 გამოცემა. თბ., „საქართველოს მაცნე“, ,გვ. 368
3. ს. სიგუა. კულტუროლოგიის საფუძვლები, წ.3 . (2013) თბ., „მწერლის გაზეთი“,გვ. 133
4. Scupin R. Cultural Anthropology. A Global Perspective. 2-nd ed. (1994),Prentice Hall College Div p..41
5. Т. Г. Грушевитская В.Д. Попков. АЛ. Садохин. (2003) Основы межкультурной коммуникациию Учебник для вузовю Под ред. А.П. Садохина. - М.: ЮНИТИ-ДАНА, с. 75

Rusudan Mikautadze

Akaki Tsereteli State University

Cultural Changes in the Era of Globalization and Its Importance in Intercultural Communication

Abstract

Modern global financial and goods markets, media and migration flows have led to a rapid change in culture, manifested by the rapid growth of direct contact between different countries and cultures, borrowing cultural values and migrating from one culture to another. During these contacts, many traditional lifestyles and thinking began to change and often disappear, but at the same time, the process of globalization leads to the appearance of new cultural forms and lifestyles.

Different societies react differently to changes that are foreign to them. As a result, we are witnessing the emergence of ethno-religious conflict in many countries, the formation of nationalist sentiments and regional fundamentalist movements in politics, that is, there is some potential for conflict in the process of globalization of culture itself. However, global processes do not lead to the formation of a unified world culture. Modern

culture is the abundance of original cultures between which dialogue and communication take place.

Globalization helps people adapt to a foreign culture without denying their own one, urging people to master the values of another culture without harmingtheir national one. It involves voluntarily mastering the customs of one culture and the traditions of another, bringing them to their own soil, and thus enriching their own culture.

Key words: cultural dynamics, cultural pluralism, cultural diffusion, cultural borrowing

რეცენზენტი: პროფესორი ვიქტორ განკევიჩი